№ 199 სექტემბერი 23, ხუთშაბათი 1888 სექტემბერი 23, ხუთშაბათი № 199

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## გამგეობა

აცხადებს, რომ სოფ. დიდ-თონეთის (ტფილისის მაზრა) სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა გამოგზავნოს თხოვნა საზოგადოების კანცელარიაში.

ჯამაგირი წელიწადში 300 მანათია.

ტფილისი, 22 სექტემბერი

პური და ერთობ ხორბალეულობა დღე და დღე ფასში ჰმატულობს და დღეს რუსეთში პურისა და ხორბალეულობის აღებ მიცემობა გაჩაღებულია და იმოდენად გაძლიერებული, რამოდენადაც ამ შვიდ-რვა წელიწადში არა ყოფილა. ეს გარემოება კვალ-დაუჩნეველად არ ჩაივლის ქვეყნისათვისაც, რომელიც თუმცა მსოფლიო ბაზრისათვის არაფერს ანგარიშშია ჩასაგდები, რადგანაც აქედამ მაგდენი არაფერი გადის გასასყიდად, მაგრამ მაინც შინაურ ბაზარში ფასს საკმაოდ საგრძნობელად ასწევს პურსა და ხორბალეულობაზედ. ეს ფასის აწევა მით უფრო ადვილად მოსალოდნელია ჩვენში, რომ თვითონ ჩვენს ქვეყანაში წლევანდელი პურის მოსავალი ბევრად ნაკლებია წინა წლებისაზედ. საქართველოში მოსავალს ბევრგან ემდურებიან და მარტო თითო-ოროლა ადგილს ასახელებენ, საცა სამყოფი პური მოსულა. განჯა, ყარაბაღი და ქვემო ქვეყნები, რომელნიც პურის მოსავლის ბოღაზად ითვლებიან ჩვენში, იმ მდგომარეობაში არიან თურმე, რომ ლამის თვითონ გაუხდეთ წელს პური სასყიდლად. მაშასადამე, შინაური ბაზარი პურითა და ხორბალეულობით ხელ-ნაკლები იქმნება, რადგანაც შინაური მოსავალი წელს მაგდენს ვერაფერს მოაწვდის გასასყიდად. რომ ეს ასეა, დღესვე ეტყობა აქაურს ბაზრებს, საცა პურმა, ქერმა, სიმინდმა ამ მოსავლის პირველ ხანებშივე კარგა საგრძნობლად აიწია. საფიქრებელია, რომ დღე და დღე ფასები უფრო მატებაში უნდა შევიდეს, რადგანაც დღეს ბაზარში გამოდის ჯერ შარშანდელ წლისაგან დარჩენილი პური და მერმე მცირეოდენი ჭარბი წლევანდელის მოსავლისა. ეს ნარჩენი წინა წლებისა და მცირეოდენი ჭარბი წლევანდლისა გამოილევა თუ არა, ბაზარს პური მოაკლდება და ეს კლება უფრო დააძვირებს.

ამისთანა შემთხვევაში ბევრსა ჰშველოდა ხოლმე ჩვენს შინაურს ბაზარს რუსეთი: როცა გაუჭირდებოდა, პური შესაძლებელის იეფობით მოჰქონდა ხოლმე რუსეთიდამ. წელს-კი პურმა და ხორბალეულობამ იქაც საკმაოდ აიწია და ვინ იცის რა სიმაღლეზედ დასდგეს. ამისი მიზეზი ის არის, რომ საზღვარ გარედაც წელს მოუსავალობას უჩივიან და პურის ნაკლებობას ერთობ მსოფლიო ბაზარში. ჟურნალი «Вѣстникъ Финансовъ» გვაუწყებს, რომ ოთხი დიდი ქვეყანა, რომელიც გარედამ შემოტანილის პურით იოლად მიდისო, სახელდობრ, ინგლისი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი წელს იმოდენად ნაკლებად არიან, რომ თითქმის ნახევარ მილიარდს (488,000) ფუთს პურს მოითხოვენო და ამ სახით შარშანდელზედ 120 მილიონი ფუთი პური მეტი მოუნდებათო. რუსეთის კონსული მარსელში იწერება, რომ აქ პურის ვაჭრობა ძლიერ გაძლიერებულიაო და მთელი აგვისტო ფასები ყოველს ცის ნამარა დღეს მატებაში იყოვო. მარსელის ვაჭრები პურისა დიდ-ძალს პურსა ჰყიდულობენ თურმე რუსეთში, მხოლოდ დიდის სიფრთხილით-კი იქცევიან, რომ ერთბაშად სავაჭროდ მისევამ ფასები ძალიან არ ასწიოს. დიდ-ძალი პურის საპალნეები გააქვთ თურმე ოდესიდამ ლონდონის ბაზრისათვის. ყველა გაზეთები რუსეთისა იმოწმებიან, რომ დღეს პურისა და ერთობ ხორბალეულობის აღებ-მიცემობა რუსეთში კარგა გაჩაღებული და გაძლიერებულიაო. ამ სახით სჩანს, რომ წელს იეფ ფასად პურის მოზიდვა რუსეთიდამ საიმედო არ არის და რადგანაც ამის გამო ჩვენი შინაური ბაზარი იძულებულ იქმნება თავისის მეტ-ნაკლებობით გაუძლვეს წლევანდელის წლის საჭიროებას, ამიტომაც საფიქრებელია, რომ პური, ქერი, სიმინდი და სხვა ხორბალეულობა ჩვენში საკმაოდ დიდს ფასს დაიდებს, რაც უფრო მეტი ხანი გავა. ჩვენებური ვაჭრები-კი, რომელთაც ფასების დაწევა ძალიანა ჰსურთ, იძახიან, რომ ხორბალეულობის ფასის აწევის მიზეზი დროებითიაო. რაკი ჯარები, რომელნიც თიანეთში და სხვაგან ბანაკებში მოგროვილნი არიან, დაიშლება, ფასებიც მაშინვე დაიწევსო. იქნება ამ სიტყვას ცოტაოდენი საბუთი ჰქონდეს, მაგრამ ბევრში-კი დიდად საეჭვოა, რომ მარტო ჯარების დაშლამ პურის ფასი დასწიოს წლევანდელს წელსა, როცა პური ცოტა მოვიდა ჩვენში და ჩვენს გარედ-კი მთხოვნელი და მყიდველი უჩვეულოდაც გამრავლდა.

[stamp]

## ახალი ამბავი

*** გუშინ დილით, 22 სექტემბერს ესტუმრა ტფილისს ახლო ნათესავი სპარსეთის შაჰისა. მისი უმაღლესობა სამს კვირამდე დარჩება ჩვენს ქალაქში.

*** 10 სექტემბერს ვიღაც ავაზაკებს მოუკლავსთ რაჭველი კაცი, გვარად გიგო კაციტაძე, იჯარადარი ქუთაისის სახელმწიფო პავილიონის შენობისა, გელათის გზისა და ხიდებისა. საცოდავი გიგო კაციტაძე მოდიოდა თურმე რაჭიდამ ქუთაისს და თან მოჰქონდა ორი ათასი მანათი ფული თავის მუშებისთვის დასარიგებლად. ავაზაკებს შეუპყრიათ ამ კაცისათვის ფული, დასხმიან თავს ნაქერალის მთაზედ, გადმოუღიათ ცხენიდამ, უცემიათ ჯოხით და მერე თავი მოუკვეთიათ ხანჯლით. მერე აუღიათ და გვამი სადღაც ხრამში გადაუგდიათ. ცხენისათვის აუყრიათ აღვირი, მოუხსნიათ უნაგირი და ისჯნიც ხრამში გადაუყრიათ. შეიქნა ძებნა საცოდავის წვრილ-შვილის კაცისა თუ ქუთაისში და თუ რაჭაში და ერთის კვირის შემდეგ ძლივს მიაგნეს იმისს გვამს ხევში. პოლიციამ ჯერ-ჯერობით მკვლელნი ვერ აღმოაჩინა და გუმანიკა მიუტანია ზოგიერთს მუშებზე, რომელიც ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობენ შაბუროვისა და ნოვოსელსკისთან. ამ მადნებში

# ფელეტონი

## გლეხური ქორწილი ქვემო ქართლში.

ორისავე მხრის დათათბირების შემდეგ მაჭიალს (მაჭანკალს) მიჰყავს სასიძო და ასინჯვებს ქალს (გასინჯვა ქალისა ჰხდება საიდუმლოდ, რომ დაწუნება მეზობლებმა არ გაიგონ და ამითი ქალს სახელი არ გაუტყდეს). თუ მოეწონა ვაჟს ქალი, მაშინ ვაჟი რჩება ქალის ოჯახში სადილად, ან ვახშმად; ვაჟი აძლევს ქალს „ბელგას“ ფულად სამს, ან ხუთს მანეთს შეძლებისდა გვარად. დანიშნავენ დღეს სასიძოს ოჯახისა და ავლა-დიდების გასასინჯავადაც. შემდეგ რამდენისამე დღისა ან კვირისა მიდიან სასიძოს სახლში გასასინჯად ქალის ძმა და ქალის ერთი რომელიმე მახლობელი ნათესავი და თუ არ მოეწონათ ვაჟის ოჯახი (რაიცა იშვიათად მოხდება ხოლმე, რადგანაც მაჭანკალი ფანდი-ფანდს ურჩევს), მაშინ საცოლიძმო უბრუნებს თავისს ბელგას უკანვე ვაჟს და მიდის. თუ მოეწონა სასიძოს ოჯახი და ავლა-დიდება, ოჯახით ესტუმრებიან ნადიმზე. იქვე აძლევენ ერთმანეთს პირობას მისატან-გამოსატანებელზე და ჰნიშნავენ „ნიშნის“ მიტანის დღეს. ნიშნად მიაქვს სასიძოს საკლავი, ერთი კოკა ღვინო, ქათამინდაური თავისის ნაზუქებით და ნამცხვარით, ერთი თავი შაქარი თავისის ხილით, ბეჭედი, ბაღდადი და ფეხსაცმელი წინდებითურთ, წამოსასხმელი და ხელთათმანები. მიჰყავს თან დედმამა (თუ ჰყავს), მეჯვარე (ნათლია) და ათიოდე კაცი. იმ ღამეს დროს გაატარებენ, მეორე დღეს მოიწვევენ მღვდელს, მოიპატიჟებენ მეზობლებმოკეთეებს სადილზე და დანიშნავენ კიდეც. მეჯვარემ უნდა მისცეს მღვდელს ნიშნის საკურთხებელი მანეთი და აგრეთვე უნდა მისცეს ქალს პირის სანახავი, შემდეგ ვაჟის დედ-მამა მისცემს პირის სანახავს და აგრეთვე ყველა სასიძოს მოყოლილმა უნდა მისცეს თითო მანეთი მაინც, ხოლო ქალის მონათესავენი არ აძლევენ პირის სანახავს ქორწილამდე, იმ ღამესაც იქ დარჩებიან და მესამე დღეს საუზმის შემდეგ მიდიან შინ. დაბრუნებულთ, როგორც მეჯვარეს, ისე ყველა ხლებულთ, სასიძო იწვევს სადილ - ვახშმად.

რამდენსამე ხანს შემდეგ, როცა სამეფო ხელს მოიწყობს, მოდის სამეფოს დედა ან მამა საპატარძლოსას «მოსაკითხით» (ძღვნით) და უფრო დაწვრილებით ურიგდებიან, მზითევსა და ბარგში რა უნდა გამოატანონ ქალს.

აგრეთვე ქალის დედ-მამაც ურიგდება ქორწილზე მოსატანში როგორც ფულად, ისე ხორაგეულად. ამის შემდეგ დანიშნავენ ჯვარის წერის დღეს.

ქორწილის წინა დღეს, მაგალითად, ხუთშაბათს, ვახშმად «წამყოლს თავს მოუყრის», მოიწვევს სამეფო: მეჯვარეს (ნათლიას), წამყოლ მაყრებს და მეურმეებს; მოიყრიან თავს ვახშამზე ყველა წამყოლნი და გაიცნობენ ერთმანეთს, დააწყობენ პირობას, როგორ უნდა მოიქცნენ „უცხო სოფელში“ საპატარძლოსას და შეეზმევიან ლხინსა და მღერას; მეორე დღეს, შაბათ დილით ადრიან შეიყრიან თავს, დასხდებიან საუზმეზე და შეიქმნება ჯამების ტრიალი. იქვე მოჰყვება საერთოდ გამართული სიმღერა, რომელსაც თან ებმის სადილიცა.

შაბათ დილითვე გაგზავნიან მოსაკითხს—ქორწილის ძღვენს—პირობისამებრ; ქორწილის ძღვენს შეადგენს: ორი ცხვარი, ერთი დაკლული გაკეთებული ღორი, ორი კოკა ღვინო და ასი ლავაში. მეჯვარეს მოართმევენ ჯვრის პურს წასაღებად; ეს პური მეჯვარემ უნდა იყიდოს—უნდა მისცეს, რაც ესვინიდასება. დილითვე მოვა დალაქი, შემოვა და დაადგება სუფრას თავზე; მაშინ ერთი უფროსი კაცი ეტყვის მეჯვარეს «უბძანე ჩვენს სამეფოს—თქვენს ნათლიმამას პირი მოჰპარსოსო». მაშინ უნდა მეჯვარემ ამოიღოს რამდენიმე მანეთი და მისცეს დალაქს „ნეფის პირის მოსაპარსი“; მეფე რომ გაათავებს პირის პარსვას, ყველა მსურველი მაყარი იპარსავს პირს მეჯვარის ხარჯზე. აგრეთვე უნდა იქირაოს მეჯვარემ გვირგვინები წასაღებად და უნდა ჰქონდეს მომზადებული კვლეპტრები მეფე-დედოფლისათვის და ორი ბეჭედი: ოქროსი და ვერცხლისა. ეჯიფი (თამადა) მოიკითხავს «იახტნის ძღვენს», რომელიც მაშინვე უნდა მოერთვას. ძღვენს შეადგენს: ერთი ქათამი ან ინდოური, ერთი ტიკჭორა ღვინო და რამდენიმე ოცი—ოცმოცი ლავაში. ამ ძღვენს მოიკითხავენ მეორე დღეს, შუა სადილზე, ქალის მაყრები და ეჯიფიც ვალდებულია მიართვას; აგრეთვე მოიკითხავს საგზალს მაყრებისათვის, რომელიც ცალკე ხურჯინში უნდა ჩაუწყონ (მოზრდილი ტიკჭორა ღვინო და ხორაგეული). იდროვებენ მიწევის დროს თუ არა (საღამოს საათის ცხრაზე-ათზე მიდიან), აიშლებიან და შესხდებიან ცხენებზე. თუ ცხენები ყველას არა ჰყავსთ, მაშინ ურმებზე დასხდებიან და გაეშურებიან ნელ-ნელა სიმღერითა და თოფების სროლით (მეფე და მეჯვარე მაინც ცხენებით უნდა იყვნენ იქითობას). ასე გაივლიან სოფელში მაინც. გზაში ვინც მგზავრი უნდა შემოხვდეთ, რამდენიმე ჯამი ღვინო უნდა დაალევინონ „ნეფის სადღეგრძელო“ იმ საგზლად გატანებულ ტიკიდგან და დანარჩენს დალევენ თითონ, როცა მიუახლოვდებიან საპატარძლოს სოფელს, რომ ყველა „ზარხოშად“ შევიდნენ, რასაკვირველია, გარდა მეფე-მეჯვარისა. აქედგანვე ჰგზავნიან მახარობელს, რომელიც უნდა მივიდეს საპატარძლოს სახლთან და გაისროლოს დამბაჩა; შემდეგ მივა კარებთან და დაიძახებს:

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი;
მიჰგვამია ბალი,
ამიხვიეთ მხარი და სხვ.

მაშინ მოიტანენ ერთს ბაღდადს ან შალს და შეაბმენ მხარზე (საჩუქრად) და თანაც მიაწოდებენ ერთს ჯამ ღვინოს. ღვინოს გადაჰკრავს და დაცლილს ჯამს ჰკრს მიაბდღენის მახარობელი, მაშინვე გამობრუნდება და შეხვდება „ნეფიონს“.

იმ ღამეს ქალის პატრონს არავინ ეყოლება მიპატიჟებული თავისის მხრით, მარტო „ნეფიანის“ მაყრები ეწვევიან ქეიფს; პატარძალი არ ეჩვენებათ, ან სხვა სახლშია, ან მეზობლისას. ვახშმის შემდეგ მეფესა და მეჯვარეს გაუშლიან ერთად საპატარძლოს ახალ სამზითევო ლოგინს და მოასვენებენ ერთად.

კვირა დილას ადრიან სხდებიან საუზმეზე მეფე-მეჯვარე და მეფის მაყრები და დაიწყება ლხინი და სიმღერა:

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა, ქორწილსა, სადილსა!

ხოლო მეფე არასა სჭამს ჯვარის დაწერამდე. კარვა შეზარხოშებისას მოიკითხავენ საპატარძლოს. მაშინ ადგება მეჯვარე, თან იახლებს ეჯიფს და კარგ მოსიმღერე-მომაყრულე ექვსშვიდ მაყარს და წავა მაყრულით საპატარძლოს ოთახში, საცა მორთული პატარძალი დახვდებათ. მეჯვარე მიესალმება და სთხოვს თავისს სანათლიდედოს გამოჰყვეს, მოჰკიდებს ხელს წამოსაყვანად, მაგრამ იქ მყოფი ქალები არ ანებებენ: „მოგვეცით საოსტატო და პირის მოსართავი და მერე წაიყვანეთო“. მეჯვარემ უნდა მისცეს

მუშებს დიდი ხანია ფული არ მიუღიათ და ზოგიერთს-კი გ. კაციტაძეს მოკვლის შემდეგ უცებ გამოაჩნდათ ფულიო. ენახოთ, გამოძიება ვის დაადებს ხელს და ვის იცნობს დამნაშავედ.

*** როგორც თავისს დროზედ შევატყობინეთ მკითხველებს, დ. ზ. ბაქრაძემ 1887 წელს დაათვალიერა წებელდის ეკკლესია, რომელიც ტყეში შემთხვევით იპოვა მონადირემ, და იქ აღმოჩენილი ძველი ნივთები: დიდრონი თითბრის შანდლები, ჯვრები, ხატები ქართულის წარწერით მე-XI საუკუნისა და სხვანი გაუგზავნა მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას. რადგან ეხლა ტფილისში დაარსდა საკკლესიო მუზეი, საცა უნდა მოაგროვონ ძველი ნივთები, ამიტომ ბაქრაძისაგან მოსკოვში გაგზავნილებიც უკანვე გამოუგზავნიათ ხსენებულ მუზეიში დასაცველად. კარგი იქნება, რომ დღეის შემდეგ ძველი საარხეოლოგიო ნივთები, რომელიც მრავლად გააქვსთ ჩვენის ქვეყნებიდამ და საუკუნოდ იკარგება, აქვე ინახებოდეს.

*** ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში ძველს ნახმარს ხალიჩებს ჰყიდულობენ კარ-და-კარ მოსიარულე თათრები. ეს მოვაჭრენი ჯერ ჩვენ ქალაქებში დადიოდნენ და ბოლოს ხანებში სოფლებსაც მოედვნენ. უფრო იმისთანა ნახმარ ხალიჩებს ეტანებიან, რომელიც ძველი სახიანია, როგორც ნამდვილად გაგვიგონია, ამ ნახყიდ ხალიჩებს ეზიდებიან ევროპისა და ამერიკის დიდს ქალაქებში და ძვირფასად ჰყიდიან; დიდი მოდაა თურმე იქა. რამდენადაც ხალიჩა ძველებური სახიანია, იმდენად მეტადა ფასობს. შვიდ-რვა არშინ სიგძე და ორ-სამ არშინ სიგანე ხალიჩა, ორის ფუთის წონისა, ათ-თორმეტ თუმნად იყიდება. ევროპაში რაკი მოდად შემოვიდა, გვგონია ახალი ნაქსოვი ხალიჩაც რომ ძველის სახეებით იყოს მოქსოვილი, კაი ფასად გაიყიდება. მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს ჩვენს სოფლებში, თუმცა-კი ჯერ დღესაც ბევრგან იციან კაი ხალიჩების მოქსოვა. მაგალითად, მეხრანი დღესაც გათქმულია ამ საქმეში, მაგრამ არავინა ჰფიქრობს ამ ხელობის გამოყენებას.

*** ტფილისში ამ ჟამად და საზოგადოდ ამ ზაფხულ-შემოდგომას ხორაგეულობა უფრო ძვირია კლავენდელზე. ხორცი ყოფილა გირვანქა 6—7 კაპეიკად, ეხლა 8 კაპ. პური (2 ღირსებისა) გამომცხვარი ფუთი ექვს აბაზად იყო, ახლა შვიდად არის.

*** ტფილისში ამ ბოლოს დროს ძალიან გამრავლდნენ სხვა-და-სხვა გადმოსახლებულნი, რომელნიც ბულვარზედ ამვლელსა და ჩამომვლელს აეკვიატებიან ხოლმე და ყარაჩებზე უმეტესად მანამდე არ ჩამოეშვებიან, ვიდრე არ გამოსტყუებენ რასმე. ამათ შორის ზოგიერთი დედაკაცები სახლებში დადიან და თუ დრო და გარემოება ხელს შეუწყობსთ, არა ფერს იწუნებენ. თუ ვინმემ თვალი შეასწრო, მაშინვე დაიწყებენ ღრეჯას და თავს შეაბრალებენ, გაჭირვებულნი ვართ და ხელი მოგვიმართეთ რითიმეო. ეს გადმოსახლებულნი უმეტესად რუსეთის შორეულ გუბერნიებიდგან არიან.

*** გორი: ამ ჟამად გორშია სტუმრად გრაფ უვაროვისა ქვრივი თავისის შვილებით, დითა და დისწულით; ჩამომხტრები არიან სასტუმრო „ივერიაში". მოსულია იმიტომ-რომ არხეოლოგიურის მხრივ გაიცნოს ქართლის შესანიშნავი ძველი ეკკლესიები და სხვა შენობანი. აგერ ერთი კვირაა, რაც აქა სცხოვრებს და აქედამ მიდის მთელის თავისის სახლობით სხვა და-სხვა სოფლებში. ჯერ იყო სოფ. ურბნისში; იქ გასინჯა ეკკლესია, დასტოვა თავისი შვილი გასათხრელად იმ ადგილისა, რომელზედაც ვითომ მირიან მეფის სასახლე იდგა; ეს ადგილი შემაღლებულია შაქრის თავივით და გადმოსცქერის მტკვარს. შემდეგ იყვნენ ატენში სიონის სანახავად, იკორთაში, უფლის-ციხეში; ნახეს გორის ციხე, ოქონის ღვთის-მშობლის ხატი, გამოტანილი ბაგრატ მეფის დროს საბერძნეთიდამ მეთერთმეტე საუკუნეში. ამ ჟამად გრაფ უვაროვის მეუღლე შვილებითა და დით წაბძანდა გომს და ქვაბთახევას. იპოვეს რამე ურბნისში თუ არა, ამაზე ვერა შევიტყეთ რა.

*** გორიდამ: გორის სასულიერო სასწავლებელში შესასვლელად წელს ერთობ ბევრი მთხოვნელნი იყვნენ. ძველს შენობაში ძალიან ვიწროობაა. სასწავლებლის გამგეობას გულითა და სულით ჰსურდა დაეკმაყოფილებინა ყველა მთხოვნელის სურვილი, მაგრამ სივიწროვის გამო ძალაუნებურად იძულებულ იყო ბევრისათვის უარი ეთქვა, მაგრამ მთხოვნელებმა მოსვენება არ მისცეს. სამოცდა-ათი მთხოვნელი იყო მარტო ერთს მოსამზადებელს კლასში; ამათში ოცდა-ოთხი სამღვდელოთა შვილნი იყვნენ და დანარჩენი სულ გლეხ-კაცობა. ორმოცამდე ბავშვი რჩებოდა მიუღებლად. მაშინ გამგეობამ სასწავლებლისამ გადასწყვიტა გაემართნა მესამე განყოფილება მოსამზადებელის კლასისა. დაადგინეს განაჩენი და გამოუცხადეს მშობლებს, რომ ენკენისთვის გასვლამდის უსათუოდ გაიმართება კლასი და ჩამოიყვანეთო. სასწავლებლის გამგეობამ თავისი გარდაწყვეტილება მსწრაფლად წარუდგინა ეგზარხოსს პავლეს, რომელმაც უკვე დაამტკიცა გამგეობის გარდაწყვეტილება. ამ კლასის გამართვით ორმოცი ყმაწვილი დაიხსნეს უსწავლელობისაგან; შემდეგში დრო გაუვიდოდათ და წყალს გარედ დარჩებოდნენ საბრალონი. ამას გარდა ოთხი მეოთხე კლასში მიიღეს, ერთი მეორეში, ორი პირველში, სამი უფროსს მოსამზადებელში და ოც-დაოთხი მეორე მოსამზადებელს კლასში. როცა სასწავლებელი ახალს სახლებში გადავა, რომელიც მერმისისათვის მზად იქნება, მაშინ რიცხვი სასულიერო სასწავლებელში შემომსვლელთა ერთი ორად და სამად იმატებს.

*** სოფ. ფლავი: თუმცა იმ დღეს «ივერიაში» იყო მოხსენებული ნ. დაფქვიაშვილის მიერ ბ-ნ უ—შვილის მოკვლის ამბავი, მაგრამ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ, რადგანაც ნამდვილად არ იყო გარდმოცემული საქმის გარემოება: უ—შვილი დაფქვიაშვილს შვილივით გაუზრდია თავისს სახლში, მოყვარეა დაფქვიაშვილისა. ბოლოს მამულზე შეექმნათ თურმე ცილობა. ახალგაზდა უ—მა ჩაგვარა დაუწყო ხანში შესულს თითქმის ბერიკაცს დ—სა. ამ ბოლოს დროს დ—საგან დათესილი სიმინდი მოსჭრა და წაიღო; ეს არ მოეწონა დ—სა, უთქვამს, ნუ მიგაქო და შეჰკოლიან ლაპარაკსა; უ—შვილი გაბრაზდება, გამოაძრობს ურემში გარჭობილს კომბალს და წამოვა დ — კენ. ეს ჰხედავს, რომ საქმე ცუდად არის და, თუ დაარტყა ყმაწვილმა კაცმა კეტი, სულს გააფრთხობინებს. მოიკრიბა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოქანებულს უ—შვილს დაასწრო ჯოხის დარტყმა და იქვე გაგორა. ჯოხი დაურტყავს საფეთქელში და როცა გაუჭრიათ და უნახავთ, ტვინი თურმე სრულიად შერყეული ჰქონია. ასე მიამბეს მნახველებმა და არ ვიცით ნამდვილად-კი, როგორ იყო. საკვირველი ის არის, რომ ნიკო დაფქვიაშვილი აბეზარი კაცი არ არის, იმისი ჩხუბი და ახირება არავის გაუგონია და ამიტომ ეს შემთხვევა ყველას გაუკვდა. დამნაშავე დაპატიმრებულია.

*** ატენი: ამ თვეის 17, შაბათს დღეს, აქ მოხდა კაცის-კვლა: ჩვეულებადა აქვსთ ატენის ხეობელებს, დაადგებიან რკინის გზის ლიანდაგს და გამოსწევენ გორისაკენ. ოსები მოდენილან იმ დღეს. ამ დროს ატენის რკინის გზის ორთქლ-მავალაც მოდიოდა თურმე. ყარაულმა დაუშალა, ჩამოეცალენითო. ოსები ყურსაც არ იბერტყდნენ. ყარაული ეცა ერთს ოსთაგანს და გაღმოითრია; ოსი გაბრაზდა თურმე, დასცა მარცხენა ფერდში ხანჯალი და იქვე სული გააყრევინა. მოკლული იყო ქართველი, სოფელ კავთიხეველი.

*** „მშაკში" მოხსენებულია: ამ რამდენისამე ხნის წინად ეგვიპტეში გარდაიცვალა ერთი სომეხი თავადი-ორ-ფაშა, რომელსაც ხუთი ათასი თუმანი უანდერძებია იზმირის (სმირნის) ქალაქში სომხის ქალების სკოლის გასამართავად.

*** ამავე გაზეთში სწერია მიწის ძვრის ამბავი სხვა-და-სხვა ქალაქებში: ახალციხეში ყოფილა 10 სექტემბერს, ნაშუაღამევის 3 საათსა 35 წამზე: მიწის ძვრა მეტად შესამჩნევი იყოვო. კიდევ ყოფილა მეორე და

---

საოსტატო მთხოვნელს (საოსტატო სამ მანეთიდგან, ერთ თუმნამდეა რაოდენობა ქალის რიგიან მასწავლებელსა და სწავლაზეა დამოკიდებული).

შემდეგ მეჯვარე გამოიყვანს საპატარძლოს და წინ მაყრები გაუძღვებიან მაყრულით შინისაკენ, საცა მოპატიჟებული და მაყურებელი მთელი ქალი და კაცი დახვდება. მეჯვარე გადაიყვანს პატარძალს და მოუსვამს სამეფოს გვერდით; მოიწვევენ მღვდელსაც და აკურთხინებენ კელეპტრებს; მღვდელი ჩაუთვლის მეფე-დედოფალს ხელს (ხელს ხელში მოაკიდებინებენ) და გაემგზავრებიან მაყრულით ეკკლესიაში. მეჯვარემ მღვდელს უნდა მისცეს „ხელის ჩასათვლელი" მანეთი. ხონჩით თან მიაქვსთ კელეპტრები, ჯვრის პური, ხელადა ღვინო და სამი ლავაში; მეჯვარემ უნდა მისცეს ეკკლესიის კარის გასაღები.

ჯვარის წერის გათავებისას შეიქნება დამსწრე ხალხის ჟრიამული: „გაუმარჯოს", „შეაბეროს" და სხვანი. გამოსვლისათანავე შემოსძახებენ მაყრულს და დასცლიან დამბაჩებს. სახლის კარებში მეფე-დედოფალს მოაგეგებენ თავზე წითელ ბაღდად გადაფარებულს დედ-მამიან ქალს ხელში შარბათიანის თასით; ეს ქალი მიულოცავს გვირგვინს, პატარძალს ტუჩზე აკოცებს და მეფეს გვირგვინზე, ასმევს სამ-სამჯერ შარბათს «ასე ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთსაო». ამ დროს მეჯვარეს, შიშველი ხანჯლის წვერი მიჭერილი აქვს ზევით კარების ჭერხოში. შესდგამს მეფე კარებში ფეხს თუ არა, იქვე დახვდება დამხობილი ჯამი, რომელიც ერთის ფეხის დაკვრით უნდა დაამსხვრიოს.

საცა მეფე-დედოფლის დასაჯდომი ადგილია, კედელზე ფარდა აკრულია და ძირს ხალზე ორი ბალიში დევს, რომელზედაც პირქვე პატარა ბიჭი წევს; წინ ხონჩა დგას და იმ ხონჩაზედ აწყვია პური და ღვინო და ცალიერი თასი.

მეჯვარემ უნდა აჩუქოს ბალიშებზე მწოლარე ბიჭს ფული და დააცლევინოს მეფე-დედოფლის დასასხდომი ადგილი. შემდეგ ადის მეფე ტახტზე დედოფლითურთ და დასხდებიან მათთვის მომზადებულს ბალიშებზე. პატარძლის მხარეს დაჯდება მეჯვარე ხოლო მეფის მხარეს—ეჯიფე; მაყრები-კი ორთავე მხარეს ჩამწკრივდებიან. ეჯიფე ხმა მაღლა დაიძახებს „მოულოცეთ! მოულოცეთ!"-ო. მაშინ ქალის მოკეთენი მიულოცავენ: ქალები ტუჩზე ჰკოცნიან პატარძალს და მეფეს გვირგვინზე და მოსალოცავ თეთრ ფულებს ჩაჰყრიან წინ დადგმულ თასში. მილოცვის გათავების შემდეგ მეჯვარე საყოველთაოდ დასთვლის მონალოცს ფულს და შეინახავს. შემდეგ იშლება სუფრა და იმართება საერთო მეჯლისი. ეჯიფე იმეორებს „მეფე პურს არა სჭამსო" და მართლაც არა სჭამს. მაშინ სიდედრი ან სიმამრი მოართმევს „საუჭმელოს" თოფს, დამბაჩას, ან სხვა რასმე და მეფეც იწყებს პურის ჭამას. ეჯიფე იღებს ხელში ჯამით ღვინოს და დაიძახებს ყველასათვის გასაგონად:

— ხალხნო და დარბაისელნო!

— ბძანე, შემოსძახებს საერთო ხმა.

— ბძანებელი ღმერთი გწყალობდეთ—მეფე ილოცება!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!! გაისმის საერთო ხმა.

ამათ შემდეგ ყველას რიგ-რიგზე მიართმევენ მერიქიფენი ღვინოს; ყველა დამსწრე დალოცვის შემდეგ დაიძახებს: „ეჯიფო, გაუმარჯოს შენს ნეფეს!"—„გაუმარჯოს! გაუმარჯოს" გაისმის საერთო ხმა. თამადა ეჯიფეა. აქ მეფიონისა და დედოფლიონის მაყრები შემოსძახებენ მაყრულს, რომელშიაც ჩაურთავენ შემდეგს ლექსს:

აბა, სიმევ, როგორ გქო,
თეთრი დევის ძალი გქო;
შუბლზე ნაკვცი ქოჩორი,
თვალი შევარდენის გქო;
იარაღი მოგისდება,
თოფი შევერცხლილი გქო, და სხვანი.

შუა პურის ჭამის შემდეგ მეფე-დედოფალს მეჯვარეთურთ გადაიწვევენ მანდილოსნებში, მიართმევენ ქათამს და ადღეგრძელებენ საკუთრივ. ზოგიერთი მაყარი მოაგონებს მეჯვარეს, რომ დრო არ დაჰკარგოს, არ დაგვიანდეს. მეჯვარე რომ იდროვებს, „საპატარძლო ურემს" შეაბმევინებს, მერე მივა მაყრებთან და სთხოვს, რომ დაეშურნენ, „დროა წასვლისაო"; აიშლებიან, შეგროვდებიან ორისავე მხრის მაყრები, შემოსძახებენ მაყრულს, მეფე-დედოფალს გამოიყვანენ, მეფე-დედოფალი და მეჯვარე სხდებიან იმათთვის მომზადებულს ურემში და საერთო «მაყრულით» გაუდგებიან გზას. ქალის დედა შებრუნდება შინ და წუწუნით წარმოსთქვამს სიმღერის კილოზე:

„ვაი დედოფლის დედასო,
თავგნი ურზნენ კვრასო;
ნეტავი ნეფის დედასო,
ვარდნი უსხდან კვრასო, და სხ.

შუა გზაზე დაწინაურდება ერთი დედოფლის მაყარი და მივა მეფიონის სახლში მახარობლად; მისვლისათანავე დასცლის დამბაჩას, შესდგება კარებზე და იტყვის, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელიო" და სხვანი. იმასაც ისე აუხვევენ მხარს ბაღდადით და სწრაფად გამობრუნდება მეფე-დედოფლის შესახვედრად.

სახლი მეფისა ისევეა მორთული, როგორც დედოფლისა: კედელზე აკრულია ხალი, ტახტზე აწყვია ორი ბალიში, რომელზედაც პატარა ბიჭი წევს, წინ სუფრაა გაშლილი, რომელზედაც პურ-ღვინო და თასი აწყვია.

აქ-კი ბალიშიდგან ბიჭი პატარძლის მაყარმა უნდაააყენოს (დაასაჩუქროს). კარებში მეფე-დედოფალს მიეგებება დედ-მამიანი ქალი, მიულოცავს, აკოცებს გვირგვინზე და მიაწოდებს შარბათს და ან შაქრის კვნიტებს ჩაუდებს პირში. მეფე-დედოფალი დაბძანდებიან იმათთვის მომზადებულს ბალიშებზე, მეჯვარე და მაყრებიც რიგზე ჩამომწკრივდებიან და შემდეგ დარბაისელნი და მეორეს მხრით მანდილოსნები დასხდებიან. მაშინ მეფის გვერდზე მჯდომი დაიძახებს: „მოულოცეთ!" „მოულოცეთ!" ყველა დამსწრე მიდის რიგ-რიგობით (გარდა თანახლებულისა), მიულოცავენ და მიართმევენ მეფეს თითო ვაშლს, რომელშიაც თეთრი ფულებია ჩარჭობილი. მეფე ფულს ჯიბეში იწყობს და ვაშლებს ეჯიბისაკენ ალაგებს. მოიყვანენ ძუძუთა პატარა ვაჟს, ჩაუგორებენ კალთაში დედოფალს და მიულოცვენ: „ღმერთმა ამისთანა ვაჟი მოგცესო". შემდეგ მეფე გამოართმევს და ჩაიგორებს კალთაში.

გაიშლება სუფრა და იმართება საერთო ლხინი და ქეიფი. პატარძალი არასა სჭამს. შუა პურის ჭამაზედ გადაყვანენ პატარძალს ქალები და აჭმევენ ერბო-კვერცხს: „ხორცი იმ ღამეს არ ეჭმევა". ლხინი, ქეიფი და ჯამების ტრიალი თანდათანა ხურდება, ხოლო მეჯვარე იმდენად პატივცემულია, რომ ღვინოს ვერავინ დაალევს.

### ორშაბათი

ორშაბათ დღეს, დილა ადრიანად დგებიან. იმართება საუზმე, საუზმეზე უნდა მოიტანონ აგრეთვე ხილი და არაყი. მეჯვარე, მეფე და ეჯიფე თავ-თავის ადგილს დასხდებიან. ეჯიფე ამოირჩევს მაყართა შორის სამს იასაულს, მოატანინებს თოკს და ჩამოაბმევინებს თავ-ხეზე. თუ ვინმემ დაიგვიანა, ან ხელ-ცარიელი მოვიდა, იმათ ეჯიფე ჩამოაბმევინებს: „შენზე საჩივარი შემოვიდაო, ეტყვის ეჯიფე: ერთის სიტყვით, გუშინა და წუხელისაც ტყუოდი, რომ კარგად ვერ იქცეოდი, და დღესაც ძღვენი არ მოიტანეო. შენ ეხლავ ეხლავე წაიყვანე იასაულები და ერთი ინდაური, ერთი კარგი გოზაური ღვინო თავის მოწყობილობით, თავის ხილით მოგვართვი და განგათავისუფლებთო". ამგვარად თუ ცუდი მასპინძელია, მასპინძლის უფროსსაც ჩამოჰკიდებენ, სანამ კარგს სამასპინძლო ძღვენს არ

მესამე დღესაც, სექტემბრის 11 და 12, ნაშუადღევის საათის $2^1/_2$-ზე. ატაანში 10 სექტემბრიდამ 14-ამდე დღე და ღამ რამდენჯერმე მიწა იძრა და რამდენიმე სახლი დაიქცა.

*** განჯიდამ „მშაკში“ იწერებიან: წელს ყურძენი მეტად დაძვირდა, რადგანაც ნაცარმა ძალიან წაახდინა. ამ ქამად ფულიანი და უფულოც-კი არ ერიდება ძვირად იყიდოს ყურძენი და უკანასკნელი გროში ჩააბნიოს და ღვინო დასწუროს იმ იმედით, რომ დიდს სარგებლობას ენახავო. ამ გვარად თითო ცალში (27 ვედროა) 80—120 მანეთს იძლევიან და იმედი აქვსთ მერმის ცალი 150 მანეთად გაჰყიდონ; ვეონებთ-კი უნდა სცდებოდნენ.

*** სტამბოლის ერთს თათრულს გაზეთს „საატეთში“ სწერენ, რომ კავკასიიდამ ოსმალოში გადასახლებული 600 კომლი ჩერქეზი ხონთქრის ბძანებით სომხეთში, ვანისა და არზრუმის სანჯახებში უნდა გადაასახლონო. ამ საქმის ასრულებისათვის ტრაპიზონ ში კომისია დაუნიშნავსთ.

*** სტამბოლის სომხური გაზეთი „არეველქ“ (აღმოსავლეთი) იწერება, რომ იქაურ სომხურ დრამატიულ დასს წარმოდგენები დაუწყია 11 სექტემბერს გამოჩენილის არტისტის ადამიანის მონაწილეობით. პირველად წარმოუდგენიათ შექსპირის „ოტელლო“. ადამიანის თამაშობას დიდი აღტაცება გამოუწვევია საზოგადოებაში.

*** 21 სექტემბრის ღამეს პოლიციის მე-5 ნაწილში, ხეროდინოვის ქარვასლაში, შერჩეულის გასაღებით გაალეს დაკეტილი ოთახი, მოიპარეს 26 ცალი ოსმალეთის ოქროს ლირა და 3,000 მანათამდე ქაღალდის ფული, რომელიც ეკუთვნოდა ოსმალეთის ქვეშევრდომს ყარაბეჯან მელქონოვს. ამ ქურდობის ეჭვი მიიტანეს ელისავეტოპოლის გუბერნიის, ჟებრაილის მაზრის მცხოვრებელ ალექსი ვართანოვზე, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა და ოქმითურთ გამომძიებელს გარდაეცა.

◆◆

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** 11 სექტემბერს აუგეს ძეგლი არეიში დანტონსა, დიდის რევოლიუციის მოღვაწესა. ძეგლის აგებას დაესწრო მინისტრი საერო განათლებისა ლოკრუა. ლოკრუამ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, განმარტა მნიშვნელობა დანტონისა და დასასრულ სთქვა, რომ დანტონს პირველად მოუვიდა ფიქრად ის, რაც შემდეგ მხოლოდ მესამე რესპუბლიკამ განახორციელაო, სახელდობრ, საყოველთაო, საერო, სავალდებულო და უსასყიდლო სწავლებაო.

— მინისტრთა საბჭოს კრება ჰქონია და დიდი ბაასი ჩამოვარდნიათ იმაზე, პურს ბაჟი აეხსნას, თუ არა.— ფლოკე იმ აზრისა ყოფილა, რომ პურს ბაჟი უნდა ავსხნათო, მაგრამ სხვა მინისტრები არ დათანხმებულან.

— წელს საფრანგეთში პურის მოსავალი შარშანდელზე ნაკლებია. წელს მოსულა სულ 108 მილიონი ჰექტოლიტრი, ანუ 51 მილიონი რუსული ჩეტვერტი. პური ვერ არის კარგის თვისებისა. სხვა მოსავალი: ქერისა, შვრიისა, ჭვავისა კარგი იყო, თუმცა მაინც შარშანდელზე ნაკლებიაო.

**ინგლისი.** ირლანდიელი დეპუტატი ბლენი, რომელიც დაპატიმრებული იყო იმიტომ—რომ ფერმერებს აგულიანებდა, ლენდლორდებს ფული ნუ მისცემთო, ვადაზე ადრე გაუთავისუფლებიათ საპატიმროდგან. ამას წინად ხომ გაანთავისუფლეს კიდევ დეპუტატი დილონი. ამ ორს ამბავს უპირისპირებენ ერთმანეთსა და ამტკიცებენ, რომ სალისბერის სამინისტრო, ეტყობა, დარწმუნდა, რა რიგად სძაგთ ირლანდიაში პოლიტიკა სასტიკობისა და ამიტომ უნდა ცოტას ხანს მაინც მოასვენოს ეს ქვეყანაო.

**იტალია.** დიდის ოსტატობით მოქცეულა კრისპი მაშინ, როცა იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმ II აიდა ტახტზე. კრისპის უნდოდა, რომ ახალს იმპერატორსაც დაემტკიცებინა ის კავშირი, რომელიც იტალიასა და გერმანიასა ჰქონდა შეკრული. იმაზე უკეთესი დამტკიცება აღარ იქნებაო, უფიქრია კრისპის, რომ თვით მობრძანდეს ჩვენში, ჰნახოს „საუკუნოების ქალაქი“ რომი და ინებოს ჩვენი პურ-მარილიო. ამისათვის მაშინვე გაუგზავნია ელჩი იმპერატორთან და უთხოვნებია რომს წასვლა სტუმრადა. იმპერატორიც დაჰპირებია. ის აღარ მოუფიქრებია, რომ რომში მისვლა მისი საწყენად დარჩებოდა რომის პაპს, რომელსაც ჩამოერთვა ეს ქალაქი იტალიის მეფეთაგან. იმპერატორმა ბოლოს ინანა, რად დავპირდი იქ წასვლასაო, მაგრამ გვიან-ღა. იყო ეხლა რომში დიდი მზადებაა და დიდის ამბითაც ელიან ვილჰელმის მისვლას.

◆◆

# წვრილი ამბები

ბავარიაში, 1871 წ., ადმინისტრაციას პირველად მოჰხსურვებია იმ კაცთა წლოვანების მოწმობათა განხილვა და გაზრდება, რომელთაც ას წლამდე მიუღწევიათ. ამ გაზრდებისაგან აღმოჩენილა, რომ ქალები უფრო ხანგრძლივ სცოცხლებენ, ვიდრე კაცები. 1886 წ. 83 ას-წლოვან კაცთა შორის მარტო ქალი 52 ყოფილა, ესე იგი ნახევარზედ მეტი, ორ-მესამედამდე. ამ 52-ში მხოლოდ ერთსა ჰყავს ქმარი, 10 გაუთხოვარია და 41 ქვრივი. 31 ას-წლოვან მამაკაცში 2 ცოლი ჰყავს, 6 უცოლოა და 23 ქვრივი. საყურადღებო ამ გამოკვლევას ის აღმოუჩენია, რომ სიმდიდრე ხელს არ უწყობს თურმე ხანგრძლივს ცხოვრებას. ას-წლოვან მოხუცებულებში ღარიბ-ღატაკნი უფრო ბევრნი არიან მდიდრებსა და შეძლებულებზედ, მდიდართა შორის უფრო იშვიათია ხანგრძლივი სიცოცხლე. ასეა არამც თუ მარტო საფრანგეთში, ინგლისშიაცკი. ინგლისში ამ რამდენისამე წლის წინად იანვარიშეს და 87 ას-წლოვანი აღმოჩნდა 22 მოხუცი მამაკაცი და 65 მოხუცი დედაკაცი (აქაც დედაკაცი სჭარბობს), რომელთა შორის 12 თავ-შესაფარში გარდაცვლილა და დანარჩენთა უმეტესობა ხელოსანი და მუშა ხალხი ყოფილა. საფრანგეთშიაც განსაკუთრებით ხელოსნობა, და ნამეტნავად მიწის შემმუშავებელი, სცოცხლებს დიდხანს. 83 ას-წლოვან ადამიანში საფრანგეთს 6 ცოტა კეთილდღეობაში არიან, 7 შეძლებულად სცხოვრებენ და დანარჩენნი-კი სიღარიბეს ჰგრძნობენ. წვრილად რომ გავარჩიოთ საქმის, სამუშაოს მიხედულობით წლოვანების რაოდენობა, აღმოჩნდება, რომ მოახლე დედაკაცად ყოფნა უფრო ხელის შემწყობია ხანგრძლივის სიცოცხლისათვის, ვიდრე მასწავლებელ-ქალად ყოფნა, ამას გარდა გამოკვლეულია, რომ ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში იშვიათად მოიძებნებიან ასის წლისანი, ხოლო სამხრეთში უფრო ხშირია მსცოვანი. ხოლო იმას-კი ნუ იფიქრებენ მკითხველნი, ვითომ სამხრეთში რომ გადავსახლდეთ, ხანგრძლივს ვიცოცხლებთო. სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ხანგრძლივის სიცოცხლისათვის საჭიროა იქ ცხოვრება, სადაც ადამიანი დაბადებულა. უმეტესობა ას-წლოვანთა სამშობლოს არ მოშორებია და სხვა ქვეყნებში არ უმგზავრნია.

— საფრანგეთის სამინისტროს ვაჭრობისას გამოუცხადებია ამ დღეებში ოფიციალური სტატისტიკური ცნობები მცხოვრებელთა რიცხვისა 1886 წ. ამ ერთის დღის აღწერიდგანა სჩანს, რომ 30 მაისს 1886 წლისას საფრანგეთში სულ 37.930,759 სული ყოფილა. გარეშე ქვეყნელთა რიცხვი საფრანგეთში ყოფილა 1876 წ. 801,754, 1881 წ.—1.001,090, ხოლო 1886 წ.—1.126,531. საფრანგეთში მცხოვრებელ გერმანიის ქვეშევრდომთა რიცხვს ხუთის წლის განმავლობაში—1881—1886-მდე 18,126 კაცით უმატნია (81,986-დგან 100,174-მდე), ბელგიელთა რიცხვს ამავე დროს უმატნია 50,000, იტალიელთა—24,000 და შვეიცარიელთა 12,000 სულით.

— საარლუიში შემდეგი ბოროტ-მოქმედება გამოუმჟღავნებიათ. ვიღაც უცნობის წერილის თანახმად ბრალმდებელს ერთის სახლის სარდაფში უპოვნია უსულო გვამი 36 წლის გაუთხოვარის ქალისა, რომელიც, როგორც გამოძიებიდგან აღმოჩენილა, ამ ოთხის წლის წინად მშობელს დედასა და ძმებს დაუმწყვდევიათ. მეზობლებს უთქვამსთ, რომ ეგ ქალი ჭკვათა-მყოფელი არ იყოვო.

— ამას წინად ატლანდში პოლიციის ერთს მოსამართლესთან მიუყვანიათ ზანგი-ქალი, მარიამ გუდვენი, იმის გამო, რომ ამ ქალს ქუჩაში რაღაც უწესოება

მოატანინებენ. ხუმრობით გაატარებენ რამდენსამე ხანს. შემდეგ შეიქნება საუზმეზე ლხინი და ქეიფი. მაყრების კარგად შეზარხოშების შემდეგ მეფე თავგვირგვინიანი «განადირებს», ე. ი. გავა სოფლად; ყველა მაყრები თან ახლავს. ყველა მოსახლესთან მიდიან, ეტყვიან სიმღერას, ყველამ რამე უნდა მოართვას, ხილი, ღვინო, ინდოური, ქათამი და სხვანი. შემდეგ ავლენ ეკკლესიაში. ეკკლესიას შემოუვლიან სამჯერ მაყრულით, დაიბარებენ მღვდელს და მეფე აკურთხებინებს თავისის მიცვალებულის საფლავს; თავისის მიცვალებულის თითოეულს საფლავზე ანთებს სანთელს (თუ სასაფლაო სხვაგანა აქვსთ, იქ მიჰყავსთ მღვდელი), საფლავზე დასდგმენ პურ-ღვინით სავსე ხონჩას. შემდეგ კურთხევისა შენდობას შეუთვლიან და რაც ღვინოა, იქვე დასცლიან. მღვდელს თავისს რიგს მისცემს მეფე და მოდიან შინისაკენ. მაყარი მეფითურთ უნდა გაეიდნენ მეფის ბანზედ და დააბან ფერხული...

შემდეგ თამაშისა შედიან შინ, სადაც უკვე დახვდებათ პატარძალიც, რომელიც ქალებს გამოჰყავთ (მეფე გამოვა თუ არა, მაშინვე ქალები შევლიან, მორთავენ პატარძალს, ასაუზმებენ და ისაუზმებენ თითონაც და მეფე რომ „განადირებს“, გამოიყვანენ დარბაზში), დასხდებიან თავ-თავის ადგილას და იშლება სადილის სუფრა. სუფრის გაშლისათანავე ადგება ეჯიფი და დაიძახებს: „მოართვით შესაწირავი! შესაწირავი მოართვით!“ ჯერ ნათლია შეაწევს, მერე ყველას მოაქვს რიგზე თავ-თავის შესაწევარი. ეჯიფი ფეხზე დგას, გამოართმევს თითოეულს, დასთვლის ქაღალდის ფულს და წინ ცოტა ოხუნჯურის სიტყვების წამძღვარებით დაიძახებს სახალხოდ შემომწირველის სახელსა და გვარს და შემოწირულის რაოდენობას. მაგალითად:

— მეფის მაყარნო და დარბაისელნო!!

— ბძანე!!

— ბძანებელი ღმერთი გწყალობდეთ.— აი გიორგი გელხაურიშვილი რო არი, ე ჩვენი კოჭლი ხეპრიაი. მოგახსენებთ (ყველა სულ-განაბულია) რა ექნაო, შენი ჰირიმეო, წელს ზარალებიც შემხვდაო, მარტვა ხელიცა ვარო, ათასი ბეგარა და ხარჯი მაწერია კისერშიაო, ჰაპა-თხლეც-კი არ გამამახდევინეს, ჰაჰაცაო; მაგრამ კიდევ არ გამოვწყდი სოფელ-ქვეყანაშიო და მამირთმევია შემოსაწევარი სამი მანეთიო და პირის სანახავეც ერთი მანეთიო, სულ ეს ოთხი მანეთი.

—ააშენოს!! ააშენოს!!! იგრიალებს მთელი იქ მყოფი.

შესაწევარს ცალკე ინახავენ (ეს ოჯახისა არის) და პირის სანახავსაც ცალკე. შესაწევარის შემდეგ გაიმართება გახურებული სმა და მეჯლისი; ამას მოჰყვება დაირა—სალამური და ცეკვა. აცეკვებენ დედოფალს; ცეკვის გათავებისას შესძახებს ხალხი: „შაბაშ! შაბაში!!“ აქ დედოფალს უგროვდება შაბაში: ჯერ ნათლიამ უნდა მიართვას, შემდეგ ნათესავებმა და მერე მაყრებმა და დამსწრეთ. როგორც „შემოსაწევარსა და პირის სანახავზე“ დაიძახებს ფულის რაოდენობას და სახელსა და გვარს, ისე შაბაშზე იძახის ეჯიფი (პირის „სანახავზე“ და „შაბაშზე“ მოგროვილი ფული პატარძლის წინ იწყობა); შემდეგ ნათლია იღებს და სთვლის სახალხოდ და ინახავს თითონ ქალის სამშობლოში მოგროვილ ფულთან ერთად; ხოლო ეჯიფი დასთვლის შამოსაწევარს და დაიძახებს სახალხოდ: „ხალხნო და დარბაისელნო! ამ ჩვენ პატარა სოფელს მოურთმევია პირის სანახავი და შაბაში ამდენი და შემოსაწირავიც ამდენიო“.

— ააშენოს! ააშენოს!!—იგრიალებს ხალხი (შემოსაწირავი გადაეცემა ოჯახის უფროსს, ხოლო მოსალოცი, პირის სანახავი და შაბაში პატარძალს გადაეცემა მეჯვარის მიერ სამშაბათს, როცა ყველანი დაიშლებიან).

აქ ეჯიფი მოიკითხავს იახტნის ძღვენს ქალის მაყრებისაგან და იმათაც უნდა მოართვან (იმათაც ისევე აქვსთ წამოღებული, როგორც მეფიონის მაყრებს ჰქონდათ). შემდეგ მღვდელი აკურთხებს გვირგვინს და ახდის. მეჯვარემ უნდა მისცეს მღვდელს «გვირგვინის ასახდელი» მანეთი, ან მეტი. შემდეგ პატარძალი გადაჰკავთ ქალებში. მეფეც ხელთებს დროს და გადახტება ტახტიდგან, მაგრამ ძნელად თუ გაეპარება იმ საახრეებსა და პანჩურებს, რომელიც იმისთვის არის ჩუმად მომზადებული. წამოხტება თუ არა მეფე, ყველა მიაყვირებს: „ვაშა! ვაშა!“-სა და სახრეებსა და ქიმუნჯებს, სანამ კარში არ გაასწრებს. თუ მეფეს ბევრი მიარტყეს, ეგ სტუმრებისა და მაყრების სიყოჩაღეა, და თუ მეფემ იმისთანა დრო იხელთა გადახტომისა, რომ წკიპურტიც არ მოიხვედრა, მაშინ, რა თქმა უნდა, სიყოჩაღე მეფესა რჩება. რამდენისამე წამის შემდეგ შემობრუნდება მეფე, ანუ, როგორც ეძახიან, „ნანეფარი“ და სთხოვს ყველას (ხმა მაღლა): „მიირთვით საჭმელი, გამხიარულდით, თქვენი ჰირიმეო“, და გამოართმევს მერიქიფეს გოზაურს (დიდი სადვინე დოქი) და დააყოლებს ჯამებით ღვინოს. როცა რამდენსამე „სადღეგრძელოს“ მიართმევს ყველა დამსწრეთ (გარდა მანდილოსნებისა), მაშინ სთხოვენ „ნანეფარს“, რომ ისევ დაბრძანდეს თავისს ადგილს. ნანეფარი ასრულებს საზოგადოების თხოვნას, დაჯდება თავისს ადგილზე, მაგრამ გვირგვინის ახდის შემდეგ მაინც ის განაგებს მასპინძლობას. (აქ იწყება უფრო დამჯდარი ლხინი; დედოფლისა და მეფის მაყრები გაიჯიბრებიან როგორც ღვინის სმაში, აგრეთვე სიმღერაში, ლექსებში და ცეკვა-მოლხენაში. „მაყრული“, „სუფრული“, „ხეური“ და სხვა მრავალი სიმღერა სულ ორ პირად მოდის—„ნეფიონის“ მაყრები რო იტყვიან, მერე „დედოფლიონის“ მაყრები ჩამოართმევენ. დედოფლიონის მაყარი რომ გადავა საცეკვრად, მეორედ უთუოდ მეფიონის მაყარი გადაჰყვება.

მანდილოსნებიც თავისის მხრით მხიარულობენ და ცეკვა-თამაშითა და მარილიანის ოხუნჯობითართობენ პატარძალს. სადილი გრძელდება და ზედ ებმის ვახშამი.

სამშაბათი.

ადრიან საუზმე გაიშლება და ნანეფარითურთ ყველა თავ-თავის ადგილზედ დასხდებიან. მეჯვარეს მოჰკითხავენ, რაც დედოფლიონისას ძღვენი მოერთვა და აგრეთვე რაც ორშაბათს ხილი და პურ-ღვინო იშოვეს „ჩამობმით“ და „განადირებით“ (ეს ყველა მეჯვარეს აბარია). მეჯვარე მოართმევს ყველას უნაკლულოდ.

ეჯიფი არჩევს ყოველ ნაირს ხილს, დააწყობს ხონჩაზე და გაუგზავნის პატარძალს თავისს ოთახში, დანარჩენს იქ მყოფს გაუნაწილებს. ქათამ-ინდოურს გააკეთებინებენ და შეექცევიან. „ნანეფარიც“, რასაკვირველია, მოუმატებს სამასპინძლოს და გაჩაღდება საუზმე. საუზმეს საჩქაროზედ სადილი გადაებმება, „რადგანაც წამსვლელები არიან“ და გახურდება საერთო მეჯლისი.

ოჯახი „მოსაკითხის ძღვენს ამზადებს მოყვარეში გასაგზავნად“: ქადანაზუქებს, ქათამ-ინდოურს და ტიკჭორით ღვინოს, რადგანაც „ნეფემ ფეხი უნდა იბრუნოს მესამე დღეს“.

დედოფლის მაყრებს ძრიელ დაადალებენ ღვინოს, „რომ მასპინძლის ძვირი არა სთქვან“. ღვინით შექცეულნი მაყრები მოიკითხავენ ცხენებს და პატარძლის ნათესავები სთხოვენ, რომ გაჰყვნენ; მეფე და მეჯვარეც მოემზადება და გაჰყვებიან ჩვეულებისამებრ „ფეხის საბრუნებლად“.

მეფე და მეჯვარე დაჰყობს ორს ან სამს დღეს მოყვარეში, გაიცნობს უფრო ახლო იმათს ავ-კარგიანობას და ხუთშაბათს ან პარასკევს ბრუნდებიან შინ.

სოსიკო

ჩაუდენია. მარიამ გუდვენი აღმოჩენილა უმცროსი ქალიშვილი ოჯახისა, რომელიც შესდგება... 27 ყმაწვილისაგან და თითონ ამ ზანგ ქალსაც 37 შვილი ჰყავს თურმე. როცა მოსამართლეს უკითხავს რამდენის წლისა ხარო, უთქვამს, რომ 38-საო. ეს ზანგი-ქალი თან ატარებს თურმე თავისის შვილების სახელების ნუსხას, რადგან ყველას სახელს ვერ იხსომებს და ვერ იგონებს.

—ინგლისის შვილთ სისხლსა და ხორცში გამჯდარი აქვსთ მიტინგომანია, ისე მაგრად, რომ ლონდონის სკოლების მოსწავლენიც-კი საჯარო კრებებსა ჰმართავენ. ეს მომავალნი მოქალაქენი ინგლისისანი ამას წინად შეკრებილან გაიდპარკში ერთის თორმეტის წლის ბიჭის, მარტინ განსის, მეთაურობით. ამ ახირებულს მიტინგზე ლაპარაკი და ბაასი ჰქონია სამასწავლებლო საგნებზედ და ბიჭებისა და ქალების მდგომარეობაზე სასწავლებლებში. ბ-ნთ შეკრებილთ წინააღმდეგობა გამოაცხადეს თურმე, რომ მასწავლებელნი და ზედამხედველნი უზრდელად გვექცევიანო და დაადგინეს, რომ მოვითხოვოთ, რათა ჩვენც «მისტერსა» და „მისს“ გვეძახოდნენო. შემდეგ ღირსების დამამცირებელად უცვნიათ დასჯის დროს კუთხეში დგომა და ან დაჩოქვა და გადაუწყვეტიათ, რომ ამ გვარს მოთხოვნილებას ნუღარ დავემორჩილებითო. მარტო ერთს რასმეზედ არ გამოუცხადებიათ უკმაყოფილება. ეს ერთი რამეც ის სასჯელია, როცა დამნაშავე ბავშვს ბნელს ოთახში დაამწყვდევენ და ან გაკვეთილებს მოუმატებენ. თვით პაწია მოქალაქეთ გულის ტკივილით უღიარებიათ, რომ ჩვენში ბევრნი არიან ისეთები, რომელნიც ღირსად მიგვაჩნია ამ სასჯელისაო.

---

## გასართობი

ტყუილად-კი არ ამბობენ, რომ გერმანელი, ნემეცი წინ-დახედული, გონიერი კაციაო. ამ გერმანელის წინ-დახედულობაზედ აი რას ამბობს ერთი გერმანელივე გაზეთი. ვილაც ნ—თან გალლეში ჰმსახურობდა თურმე ერთი ახალგაზდა ქალი დახლიდრად. ერთს მშვენიერს დღეს ამ ყმაწვილმა ქალმა, ალბად ვისსამე მაგალითს წაჰბაძა, მოჰხვეტა რაც დახლში ფული იყო, 600 მანათამდე, და განქრა, ვითარცა ეშმა არა ამ ქვეყნიური. ამავე დროს ამ ქალთანვე განქრა მეორე მსახური ამავე ნ—სა, რომელსაც, ეტყობა, იმ ქალთან პირობა ჰქონია შეკრული და არ უმტყუნია. რამდენისამე კვირის შემდეგ ნ—ს ბერლინიდგან მიუღია თავისის დახლიდარ ქალისაგან წერილი, რომელშიაც იგი დანაშაულს ინანიებს და შენდობასა სთხოვს. ნ—ი მაშინვე წასულა ბერლინში, უპოვნია დახლიდარი ქალი, მოუყვანია და... დაუსჯიაო, იტყვ·ს მკითხველი. არა, კი არ დაუსჯია, პირ-იქით, ისევ იმისათვის ჩაუბარებია დახლი და, რომ მეორედ გაქცევა აღარ მოუნდეს გულითაო, ქალის შერთვაზედ უკეთესი ვეღარა მოუფიქრებია-რა და მეორე დღესვე ჯვარი გადაუწერია.

**

რაჯები, მაჰარაჯები და სხვანი პრინცნი ინდოეთისანი ვერ დაემდურებიან ინგლისელებს და ვერაფერს უსაყვედურებენ. ინგლისის მთავრობა სულ იმათის აღზრდისა და გაწრთვნის ზრუნვაშია. სხვათა შორის ამისთვისვე გამოუციათ წიგნი „English Etiguette for Indian Gentleman“-ი, შედგენილი ვებბის მიერ, ბენგალეში განათლების უწყების მოხელისა. ამ წიგნში ნაჩვენებია, რომ წვეულებაზე უზრდელობაა ქალთა ტიტველის გულისა და მკლავების სინჯვაო. ამას გარდა ინდოეთის პრინცებს ასწავლებს ავტორი, რომ კითხვის დროს არ უნდა დაახველონ და არც ცხვირი დააცემინონ, თავი არ უნდა მოიფხანონ და ქალებთან ლაპარაკის დროს ხელები არ უნდა იქნიონ. უზრდელო-

ბაა აგრეთვე თამბაქოს ღეჭვა საზოგადოებაშიო. საზოგადოდ ცხვირების მოვლას წიგნში მთელი ერთი თავი აქვს მონდომებული.

---

# დეპეშა

22 სექტემბერი

პეტერბურგი. გუშინ საღამოს მათი იმპერატორებითი დიდებულებანი მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის გიორგის ალექსანდრეს ძის თანახლებით წაბძანდნენ ვლადიკავკაზიდგან ეკატერინოდარს.

ბაქო. სპარსეთის ელჩი პრინცი ჰუსსამა-ეს-სალთანე წავიდა ტფილისს მას შემდეგ, რაკი ნავთის ქარხნები დაათვალიერა.

ბელგრადი დედოფალის ნატალიის მომხრენი შეეცადნენ, რომ დედოფალი დათანხმებულიყო ცალკე ცხოვრებაზედ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა; ამის შემდეგ-კი განქორწინება მიუცილებლად მიაჩნიათ და განქორწინების სასამართლოს განაჩენს მოელიან დეკემბრის დაასაწყისს.

ვენა. დღეს დილით იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა დასავლეთის რკინის გზის ვაგზალში. იმპერატორი ფრანც იოსები მუზარადზე ხელ მიპყრობილი მივიდა ვაგონთან, რომლის კიბეზედ მას ელოდებოდა იმპერატორი ვილჰელმი. იმპერატორი ფრანც-იოსები პრუსიის ფორმაში იყო და გაკეთებული ჰქონდა ნიშანი შავის არწივისა. ბურგში იმპერატორს ვილჰელმს მიეგებნენ ავსტრიის დედოფალი მემკვიდრის მეუღლითურთ. მას შემდეგ ინახულა წევრნი იმპერატორის სახლეულობისა.

ვენა. ამ უკანასკნელ დღეებში აქ რამდენჯერმე ჩუმად აქეზებდნენ, რომ იმპერატორ ვიჰელმის დიდის ყოფით მიგებებას გერმანელ-ნაციონალური ფერი დასდებოდა. პოლიცია ცდილობს, რომ შეუფერებელი არა მოხდეს-რა. სხვა და სხვა სასტიკი განკარგულებაა მიღებული და გამოცხადებულია, რომ საერო შექცევა და ჩირაღდნები არ იქმნება. ყოველ ამან გუნება შეუცვალა ხალხს და დღეს, როცა იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა, ხალხმა თავი შეიკავა. ჩვეულებრივად ალტაცება არ იყო და არც ბევრი ხალხი მოგროვებულა.

ეკატერინოდარი. 22 სექტემბერს მათი იმპერატორებითი დიდებულებანი მობრძანდნენ ეკატერინოდარს—გუშინ საღამოს ექვს საათზედ ვაგზალზედ მიეგებნენ უფროსნი მოხელენი და ქალაქის თავი პურ-მარილითა. სობოროში სტავროპოლის ეპისკოპოზმა მათ დიდებულებას შესხმა მოახსენა. მათი დიდებულებანი მიბრძანდნენ ოლქის გამგებლის სასახლეში. ღამით ქალაქი განათებული იყო ჩირაღდნებითა.

---

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადები—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

23 დღე პარასკევი. ჩასახვა წმ. იოანნესი და წამ. ანდრიასი, პეტრესი და სხ. ათოლ. ლინასი. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ძლიერი მიწის-ძვრა იყო, 1804 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—2, ჩადის 5—32. საღამოს 5 საათსა და 37 წუთ. დაბადება მთვარისა.

24 დღე შაბათი. ღირსისა პირველმოწ. თეკლესი. კათოლ. ეპ. გერარდისა. სომეხ. ხსნილი. წმ. გიორგობა. (შავნაბადობა) მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 5—29. მთვარე 2 დღისაა.

25 დღე კვირა. ღირსისა ეფროსინესი და სერგეისა. კათოლ. კლეოფასი. სომეხ. მოვლენა ჯვარისა ვარაკის მთაზედ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, 1768 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის 5—29. მთვარე 3 დღისაა.

26 დღე ორშაბათი. მიცვალება მოც.-მახ. იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. ციპრიანესი. სომეხ. წმ. დავითისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა იყო, 1804 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 5—31. მთვარე 4 დღისაა.

27 დღე სამშაბათი. წამ. კალისტრატესი. კათოლ. წმ. სტანისლავისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—6, ჩადის 5—26. მთვარე 5 დღისაა.

---

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ » |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 |
| მე-3 — | „ „ |
| ძროხის ხორცი | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 2 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
**მამიდა ასმათი**
მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.
წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ნამდვილი საუნჯეა
ყველასთვის განთქმული წიგნი
**თავის მოვლა**
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.
წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.
ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.
ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—35)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
**წიგნთ-საწყობში**
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:
ქართული გრამატიკა, შედ. მან. გაბუნილი არ. ქუთათელაძესაგან . . . „ 40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . „ 15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . » 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . 1 50
II ნაწ. . . . 1 50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . „ 15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . „ 40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . „ 30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . „ 50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „
მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა . . . „ 25
გაენათის მონასტერი, გამოც. ლამბაშიძისა . . . „ 25
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . „ 15
გულივერის მოგზაურობა . „ 50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . „ 20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . „ 50


Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე